# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— ოთხშაბათი, 19 აპრილი 1900 წ. № 1100

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)
გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|
| 10 მანეთი | 6 მან. | 4 მან. |

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)
გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.
გაზეთის ფასი გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|
| 6 მანეთი | 3 მ. 50 კ. | 2 მანეთი | 75 კაპ |

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:
პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან
წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

## სახალხო სმირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—29)


## ახალი ამბავი

✦ ორშაბათ ღამ დანიშნული იყო საბჭოს კრებაზე განსახილველად ცამეტი საკითხი საგანი, რომელთა შორის საყურადღებო საგნებიც ერია. ამათში მეექვსე საკითხი შეეხება სავალდებულო დადგენილებათა პროექტის განხილვას მოედნებზე და ბაზრებზე ვაჭრობის წესიერად მოწყობისა და ჩარჩების ალაგმვას. ეს საკითხი უკანასკნელად აღძრული იყო 1898 წელს, მაგრამ დღემდისაც ჯერ გადაუთავებელია, თუმცა ყველასაგან ცნობილია თავ-აშვებული ნავარდობა ზოგიერთ ჩარჩ-ვაჭრებისა ქალაქ ტფილისში და მის ახლომახლო სოფლებში. 1848 წ. გამოცემული იყო ვორონცოვის მიერ განსაკუთრებული, ეგრედ წოდებული, „ინსტრუქცია სავაჭრო პოლიციის მოხელეთ“. ამ ინსტრუქციაში მოთავსებულია საიმდროვო განკარგულებანი. მას შემდეგ კი ქალაქის გამგეობამ ერთხელაც არა სცნო საჭიროთ მიეპყრო ყურადღება ამ საგნისათვის, რომელიც არც ხარჯსა თხოულობდა და არც დიდ დროს მის სავალდებულო წესების შესადგენად. გულ-გრილობა, საქმის უსიყვარულობა, დაუდევრობა, დროს დაკარგვა უმნიშვნელო და არავისთვის გამოსადეგ კამათზე,— აი რა გააკეთა სამი წლის განმავლობაში ახალმა საბჭომ, რომლის წევრნი თვითონაც თავგამოდებით სცდილობდნენ თავიანთ თავის არჩევას და მისი მომხრენიც. ამ სამი წლის განმავლობაში ქალაქის თვით მმართველობას არ გამოუჩენია ფხა თვით არსებობისა, ფხა ინიციატივისა. წინათ ყოფილ გამგეობათა მიერ დაწყებულ საქმეების რიგიანად დაბოლოებაც კი გაუჭირდათ. შემდეგში გადავსინჯავთ საბჭოს სამი წლის მოღვაწეობას, საიდანაც მკითხველი დაინახავს ზემოთ გამოთქმულს სიმართლეს.

✦ გუშინდელ „ცნ. ფ.“-ში დაბეჭდილი იყო ამბავი მოკლული კაცის გვამის ბათუმში გაგზავნის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, 15 აპრილს ტფილისის რკინის გზის სადგურზე მიუტანიათ ერთი ყუთი, რომელზედაც წერებულა „თუშური ყველი“, ბათუმში გასაგზავნად. მიმტანი ყოფილა ვიღაც ჩოხოსანი, რომელსაც ხანჯალი ჰქონია ზედ. ბაგაჟის მიმღებს არ მიუღია ის ყუთი, რადგან ვერა ყოფილა რიგზე შეხვეული, და უთქვამს ტვირთის მიმტანისათვის, რომ ჰილოფში შეეხვია და ისე მიეტანა, მაგრამ იგი უარზე დამდგარა და დაჰმუქრებია კიდეც, რომ სადგურის უფროსთან ვიჩივლებ, რომ შენ ტვირთს არ იღებო. ვერც მუქარას უშველია, და ყუთი უკანვე წაუღია „დროგით“ იქვე ახლო დუქნამდე. დუქანში მეეტლე მიუგზავნია ჰილობის სასყიდლად, დროგზედვე გადაუკრავს და ხელმეორედ მიუტანია და ჩაუბარებია „ბაგაჟში“. პოლიციამ იპოვა ის მეეტლე, რომელსაც რკინის გზის სადგურიდან წაუღია დუქნამდე და ჰილობი უყიდნია. მეეტლეს უთქვამს, რომ, თუ ვნახე ყუთის პატრონი, იქნება ვიცნოო. პოლიცია ეძებს იმ მეეტლეს, რომელმაც პირველად მიიტანა ყუთი.

✦ ამ დღეებში აქ ელიან სწავლა-განათლების მინისტრის ამხანაგს ზ. ზვერევს; მიზანი მოსვლისა—სასწავლებლების დათვალიერებაა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და ხმოსან ტეხნიკოსთა შეერთებულ კრებაზე ლაპარაკი იქმნა აღძრული იმის შესახებ, თუ რა გვარის ქვით უნდა მოიკირწყლოს ქალაქის ქუჩები. უმრავლესობამ სასურველად სცნო: 1, რომ მიხეილის პროსპექტი მთლად საუკეთესო ოთხკუთხიანის ქვით იქმნას მოკირწყლული; ასეთისავე ქვით უნდა მოიკირწყლოს გოლოვინის პროსპექტი, ერევნის მოედანი, რიყის ქუჩა და აგრეთვე სიონისა და ვანქის ეკკლესიების წინ ქუჩებიც; 2, ჩვეულებრივის ქვით მოიკირწყლოს: ოლგას ქუჩა, იარმუკა, ირაკლის და სიონის ქუჩები, თათრის მოედანი, ვორონცოვის, კიროჩნისა, აეჭალისა, სადგურისა, მეტეხის ქუჩები და რიყე; 3, სასახლის ქუჩა მოიფინოს ოთხ-კუთხიანის ქვის ნაცვლად ასვალტით. („ივერია“).

✦ კახეთის რკინის გზის აქციონერული საზოგადოება ამ დღეებში შეუდგება მუშაობას.

✦ „ვესტნიკ ევროპი“-ს აპრილის ნომერში დაბეჭდილია ჩვენთვის მეტად საყურადღებო წერილი; იგი შეეხება კავკასიის აქეთა მხრის კოლონიზაციას. ავტორი ამტკიცებს, რომ შიდა რუსეთიდან აქეთ გადმოსახლებამდე აუცილებლად საჭიროა გამოკვლეულ იქმნას ა) რაოდენობა თავისუფალ მოსახმარ მიწისა, ბ) სანიტარული მხარე ამ მიწებისა, ე. ი. გამოსადეგნი იქმნებიან ისინი გადმოსახლებულთათვის, თუ არა და გ) რამდენად საჭიროებენ ამ მიწებს თვით მკვიდრნი, განსაკუთრებით სახელმწიფო გლეხები და ხიზნები. მხოლოდ ამ გამოკვლევისა და მკვიდრთა საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება გადმოსახლების საქმის რაციონალურ და სამართლიან ნიადაგზე დაყენება.

✦ უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს 21 მარტის დადგენილებით ქ. ოზურგეთი განთავისუფლებულ იქმნა 1899 წლის პირველ იანვრიდან ოთხის წლის განმავლობაში იმ ხარჯის გაღებისაგან, რომელსაც ქალაქი პოლიციის სასარგებლოდ იხდიდა, სულ 845 მანეთისა, აგრეთვე 1898 წლამდე დარჩენილ გადასახადისაგან ამავე პოლიციის სასარგებლოდ.

✦ ლაზარევების ინსტიტუტის გამგეობას ქანანოვის სახელობაზე არსებულ პრემიის (600 მ.) კონკურსი გამოუცხადებია; საკონკურსო ტემა ორია: 1) არაბულ მწერალთა ცნობები სომხებზე მე-XIV საუკუნემდე, კრიტიკული განხილვით და 2) ეხლანდელი სომხების

ჩვეულებრივი მართლიერება. ვადა ტემის წარდგენისა 7 აგვისტოა.

✦ 14 აპრილს თელავსა და გომბორს შუა სეტყვა მოსულა და მცხოვრებთათვის შესამჩნევი ზარალი მიუცია.

✦ როგორც მკითხველებმა უწყიან, რობიმ ნაწილ-ნაწილად დაჰყო თავისი მამული მთაწმინდაზე და ისე ჰყიდის ერთი ასად მეტად ნაყიდზე. ეს მამული მან შეიძინა ბ-ნ გაბაშვილისაგან. როგორც შევიტყვეთ, ბ-ნი გაბაშვილი მეორე ნაწილსაც ჰყიდის და მყიდველად ერთ აქაურ მდიდარ ვაჭარს ასახელებენ. რასაკვირველია, ეს ვაჭარიც რობისავით მოიქცევა და დახარჯულს ერთი ასად ამოიგებს. ურიგო არ იქნება, რომ თვით გაბაშვილიც ეგრე მოიქცეს, პატარა ნაჭრებად დაჰყოს თავისი მამული და, თუ რობი ერთი ასად ჰყიდის, მან ერთი ათად გაჰყიდოს. ამ გვარად ის უფრო ბევრს ამოიღებს, ვიდრე ერთბაშად გაყიდვით და ამასთან, შეიძლება მოხდეს, რომ გავარდნილი ლუკმა ჯამში ჩავარდეს...

✦ 18 აპრილს, დილის 11 საათზე, კიდევ მოხდა უბედურება რკინის გზის ლიანდაგზე. ნავთლუღის რკინის გზის სადგურთან მატარებელმა გასრისა რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი გიორგი გატუაშვილი, რომელიც რკინის გზის საავადმყოფოში წაიღეს.

✦ 16 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ავლაბარში, პოკროვის კაზარმების ახლო აზ. ი. ლორთქიფანიძეს და ტფილისის მცხოვრებს ზახაროვს ჩხუბი მოსვლიათ. ლორთქიფანიძეს ხანჯლით დაუჭრია ზახაროვი, რომელიც მიხაილოვის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მას მაშინვე სული დაულევია. ლორთქიფანიძე დაჭერილია.

✦ ხმოსან ბაბოვს გამგეობაში შეუტანია განცხადება შესახებ ბეკისა, გამგეობის საქმის მწარმოებლად, ნამყოფის სამსახურიდან დათხოვნისა. ბეკის დათხოვნის მიზეზი ის იყო, რომ მან უწყებაზე დააწერა: „ბატონ შესტაკოვს“ სიტყვებ „გამგეობის წევრს“-ის მიუწერელად. ბ. ბაბოვი დაწვრილებით უჩვენებს შესაფერ კანონებს, რომლის ძალითაც შეიძლება საბჭომ განიხილოს ქალაქის თავის უკანონო მოქმედებანი, როგორც შესახებ ბეკისა, ისე სხვა მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ.

✦ სოფ. წესიდან (რაჭის მაზრა) „ივერიას“ სწერენ, რომ აღდგომის მეორე დღეს თავ. შამადავლე ერისთავს პატარა ფინია გაუცოფდა. ჯერ თვით ერისთავისას დაჰკბინა ცხრა სული ადამიანი, მერე იქიდან გაიქცა და ოცდა-ათამდე კაცი სოფელში დაჰკბინა. ვისაც ცოტა შეძლება აქვს, ტფილისში აპირობს წასვლას ასაცრელად, ხოლო ვისაც არა გააჩნიათ-რა, იმათ არ იციან რა ჰქნან. ერთმა გლეხმა მიპასუხა, როდესაც ტფილისში წასვლა ვურჩიე, მეც ვიცი, ჩემო ბატონო, რა დღეც მომელის, მაგრამ რა საშუალებით წავიდე, სახლში სასმელ-საჭმელი სასყიდელი მაქვს და იქ წასასვლელ ფულს ვინ მომცემსო. ამისთანა უბედურობა ამ სოფელს ჯერ არ სწვევია; მართალია 1896 წელს ამ სოფლის ნახევარი საშინელმა მეწყერმა მოსპო, მაგრამ მაშინ ერთი კაციც არ დაღუპულა. სოფ. სორიდან მოსულა ვიღაც ხმალაძე და რაღაც ბუზის წვენს ასმევს დაკბენილებს და თითო დალევაში მანეთს ახდევინებს. უთუოდ ბევრი დარჩება მარტო ამ ბუზის წვენის ამარა. ათი ან თორმეტი კაცი თუ მოახერხებს ტფილისში წასვლას, დანარჩენთ კი უბედურება მოელით.

## ქალაქის საბჭო

17 აპრილისათვის დანიშნული კრება ქალაქის საბჭოსი შესდგა მხოლოდ ცხრა საათზე ნაცვლად რვა საათისა. პირველად განიხილეს გამგეობის მოხსენება გამგეობის წევრის ე. ხოსროევის ავადმყოფობისა და მისთვის 500 მან. მიცემის შესახებ და დაამტკიცეს გამგეობის წინადადება. შემდეგ გარდასინჯეს გამგეობისა და კომისიის მიერ განხილული და მოწონებული პირობა რობისა მთაწმინდაზე ფუნიკულიორის გაკეთების შესახებ. ხმოსანთა კამათი გამოიწვია ა. ბაბოვის წინადადებამ, რომელმაც ურჩია სრულიად გამოსტოვონ პირობიდან ის ადგილი, რომელიც შეეხება კოჯრის გზის გაყვანის ვალდებულებას. ხმოსანმა მალინინმა გამოსთქვა, რომ, თუ ბ. რობი დაარღვევს პირობას 5000 მან. გირაო ქალაქს დარჩება. ეს ფული უნდა მოხმარდეს კოჯორში ავადმყოფთა თავშესაფარის (სანატორია) გაკეთებას ტფილისის იმ ავადმყოფ ყმაწვილთათვის, რომელნიც სიღარიბისა გამო იძულებულნი არიან დარჩნენ სიცხეში ქალაქში და უფრო შეიწუხონ თავი. ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა წინადადება ხმოსანი მალინინისა შესახებ კოჯორში საავადმყოფოს გამართვისა, და მეორე,— შესახებ იმისა, რომ არავის მიეცეს ნება მთელი კონცესიის დროს განმავლობაში კოჯრიდან რკინის გზის მთაწმინდაზე გამოყვანისა.

მეორე საკამათო საგანი იყო ვადა კონცესიისა—45 წელიწადი. ხმოსანმა ბაბოვმა გამოსთქვა, რომ ვადა მეტად ხანგრძლივიაო და დასამტკიცებლად მოიყვანა სავარაუდო ანგარიში შედგენილი ქალაქის ინჟენერის მიერ, საიდამაც სჩანს, რომ 25 წელიწადში რობი სარგებლით დაიბრუნებს ხარჯს. გამგეობის წევრმა თ. არღუთინსკიმ აუხსნა, რომ ამის შესახებ გამგეობაც და კომისსიაც ბევრს ეცადა, რომ ვადა შეემოკლებინა, მაგრამ ბ. რობი არ დასთანხმდა, რადგან, გარდა ფუნიკულიარის გაკეთებისა, იმას განზრახვა აქვს სხვა-და-სხვა გასართობები აიგოს მთაზე, ტყე და ბაღი გააშენოს და სხვ. ამ აზრს ხმოსანი კ. ალიხანოვიც დაეთანხმა. ვრცელი სიტყვა სასარგებლოდ რობის მიერ წარდგენილი პირობებისა წარმოსთქვა ხმოსანმა ოპოჩინინმა, რომლის შესახებ ა. ბაბოვმა შეჰნიშნა, რომ ბ. ოპოჩინინი მოსარჩლეა კონცესიის პირობებისაო. ქალაქის თავმა შეჰნიშნა ბაბოვს, რომ ფრთხილად იყოს ლაპარაკში და სხვის საწყენს სიტყვებს ერიდოს, რადგან ხმოსანი ოპოჩინინი ისევე ზრუნავს ქალაქის ინტერესებისათვის, როგორც ხმოსანი ა. ბაბოვი და სხვებიო. ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნას პირობის ეს მუხლიც და დანარჩენი მუხლებიც.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**17 აპრილი**

**მოსკოვი.** დღეს, თეატრის მოედანზე, 12 საათზე, მოხდა მოსკოვის გარნიზონის ჯარის უმაღლესი დათვალიერება. თავ-მოყრილი ჯარი შესდგებოდა 40 ქვეითი ბატალიონისაგან, 6 ესკადრონისა, 400 კავალლერისტისა და 636 ზარბაზნით. აღლუმს განაგებდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. მოედანზე სდგას დიადი სამეფო პავილიონი. 11 საათზე მობრძანდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და ჯარს შემოუარა. მე-12-ე საათზე მობრძანდა დიდი მთავინა ელისაბედ თეოდორეს ასული და სამეფო პავილიონში შევიდა. თორმეტის ნახევარზე გაისმა ურას გრიალი და მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ. ხელმწიფე შებრძანდა ცხენზე მიიღო რაპორტი უავგუსტოესის სარდლისაგან და გაემართა ჯარისაკენ. დედოფალი მომზადებულს ეტლში ჩაბრძანდა, აგრეთვე დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული. მუსიკამ შესაგებებელი მარში დაუკრა; დროშები დახარეს; დაუკრეს აგრეთვე ჰიმნი, და გაისმა ჯარის აღტაცებული ურა. ცერემონიალურს მარშს დედოფალი პავილიონიდან უცქეროდა; ხელმწიფე ცხენზე ბრძანდებოდა პავილიონთან. აღლუმის გათავების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ჯარის უფროსების რაპორტები მიიღო; შემდეგ მას უდიდებულესობას წარუდგნენ ფელდფებელნი და ორდინარცები. პავილიონთან შეიკრიბნენ ჯარის ყველა უფროსები. ხელმწიფემ ყველას მადლობა უთხრა ბრწყინვალე აღლუმისათვის. 2 საათზე კრემლის სასახლეში უმაღლესი საუზმე იყო გამართული. საუზმის დროს ხელმწიფე იმპერატორმა მოსკოვის ჯარების სადღეგრძელო მიირთვა, ხოლო დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა.

**ლონდონი.** „სტანდარდტ“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდან, რომ ცხენოსანი ჯარი, რომელიც ბურების სადევნელად იყო გაგზავნილი, უკვე დაბრუნდა.

გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ს დეპეშით ატყობინებენ იქიდანვე, რომ ინგლისელთა მზვერავმა რაზმმა გაიარა 25 მილი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ და გზაზედ ერთი გორაკიდან 400 ბური განდევნა. როგორც ბლუმფონტენიდან 12 აპრილს მოსულ ცნობებიდან სჩანს, სპიტფილდი ჯერ კიდევ ბურების ხელშია. როგორც ბურების გამოცხადებულ სიებიდან სჩანს, 1899 წლის დეკემბერში ბურების ჯარი შესდგებოდა 54,000 კაცისაგან, გარდა 5,000 აჯანყებულთა. ამათგან ტყვედ წაყვანილია 6,500 კაცი, დახოცილი და დაჭრილია—8,000 კაცი; არ არის გამორკვეული, თუ რა დაემართა 14,000 კაცს; ბურების ოფიციალური ცნობებით, ისინი სახლში დაბრუნებულან.

„ტაიმს“-ს ბლუმფონტენიდან დეპეშით ატყობინებენ, 14 აპრილს: „რამდენჯერმე მოსამსახურე კაფრები თავს დასხმიან ბურების უმწეო ქალებს მათ ფერმებში; თუ დამნაშავენი დაიჭირეს, მაშინვე სიკვდილით დასჯიან“.

იმავე გაზეთს ატყობინებენ მეფკინგიდან 30 მარტს: „გუშინ შესრულდა სწორედ ექვსი თვე მას შემდეგ, რაც მეფკინგს ალყა შემოარტყეს. ბურებმა იდღესასწაულეს ეს დღე ძლიერის სროლით, რომელმაც დიდი ქონებრივი ზარალი მისცა ქალაქს; მოკვლით კი არავინ მოუკლავთ. დღეს განაგრძეს ბურებმა სროლა და იერიშიც მიიტანეს მკვიდრთაფორფოსტებზე, მაგრამ მკვიდრთ უკუ-აქციეს ისინი.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ვარრენტონიდან 14 აპრილს, რომ ბურებმა ისევ დაიჭირეს ის პოზიცია, რომლიდანაც ისინი განდევნეს გასულ სამშაბათს.

ჩიკაგოდან დეპეშით ატყობინებენ დილის გაზეთებს, რომ იქ ბევრ სხვა-და-სხვა დარგის მრეწველობის მუშები გაიფიცნენ და აღარ მუშაობენ.

„სტანდარდ“-ს დურბანიდან სწერენ, რომ კომანდირი კლარპორტი ბიგგარის მთებიდან მეფკინგისაკენ წავიდა, რათა შეაჩეროს ბეირადან მომავალი გენერალი კარინგტონი.

**ტაბანჩუ.** ფრენჩმა გაგზავნა კავალერიის ორი ბრიგადა ტაბანჩუს აღმოსავლეთით მდებარე გორაკების დასაზვერავად. დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ გორაკებზე ჯერ კიდევ ბევრია მტერი; ესენი ჯარის ბრიგადას უნდა შეადგენდნენ, რადგანაც მათ ფურგუნები არ აქვთ.

**პარიზი.** ოფიციალურად შემდეგს იტყობინებიან გუშინ მომხდარ უბედურების შესახებ: ჩამონგრეული ხიდი გამოფენის საზღვარგარეთ იყო და ამიტომაც გამოფენის ადმინისტრაციას არ შეეძლო თვალყური ედევნებინა ხიდის აშენებისათვის. მინისტრთა საბჭოში ლაპარაკი ჰქონდათ უბედურ შემთხვევაზე. ვალდეკ-რუსსომ გამოძიება დანიშნა; თუ საჭირო იქნა, მსხვერპლებს შემწეობას აღმოუჩენენ. რომელღაც ხუმარამ ხმა გაავრცელა, ვითომც გამოფენაზე ცეცხლი გაჩენილიყოს, მაგრამ ტყუილი შეიქმნა. დამნაშავეს ეძებენ.

### 18 აპრილი

**ლონდონი.** რუსების ეკკლესიაში, გელბეკ სტრიტში, დღეს მოხდა ქორწინება რუსეთის ელჩის სტაალის ასულის და გრაფ სარლოვ-დავიდოვისა. ქორწინებას დაესწრნენ პრინცი უელსისა, ლორდი როზბერი, ჰერცოგინია დევონშირისა და დიპლომატთა კორპუსი. ჯვარის წერის დროს პატარძლის კელეპტრის ალი მისწვდა პირბადესა და ცეცხლი გაჩნდა. მეფემ მსწრაფლ მოხსნა პატარძალს პირ-ბადე. ამ შემთხვევამ არავითარი მღელვარება არ გამოიწვია, არც მეფე-დედოფლის და არც სტუმართა შორის. პირ-ბადე ცოტათი დაიწვა, ისე რომ მისი გამოცვლა არ დასჭირდათ. ქორწინების შემდეგ რუსეთის საელჩოში გაიმართა სტუმრების მიღება. ახლად დაქორწინებულთ მიიღეს მრავალი მისალოცი დეპეშები და საჩუქრები, სხვათა შორის, უელსის პრინცისა და პრინცესასაგანაც.

**პარიზი** მანქანის გალერეიაში ხარაჩოები ჩატყდა და იმსხვერპლა ორი მუშა, ორიც დაჭრილია.

**პორტსმუტი.** საუტსთან გარიყა იაპონიის პირველ ხარისხოვანი გემი „ასახი.“

**კოპენჰაგენი.** დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და პრინცესა უელსისა წამოვიდნენ 14 აპრილს დილით ნეი-მიუნსტერში, საიდანაც დედოფალი გაემგზავრება რუსეთისაკენ, პრინცესა-კი ინგლისისაკენ.

**ვაშინგტონი.** სტატ. სეკრეტარმა გეიმ ბურების რესპუბლიკათა მისსია ისრევე მიიღო, როგორც მიიღებდა ყოველს წარჩინებულს პირს, მაგალითად, მონტეგიუ უაიტს. სტატს-სეკრეტარი გეი ამტკიცებს, რომ მისსიას არა აქვს ნება რაიმე მოლაპარაკება იქონიოს გარეშე საქმეთა სამინისტროსთან.

**ამსტერდამი.** ბურთა რესპუბლიკების დეპუტაცია დღეს ამსტერდამში იყო და მიღებულ იქმნა აქაურ ტრანსვაალის კომისიის მიერ. გზაზე ხალხი სიამოვნებით მიეგება მოსულთ; მათ მიართვეს ყვავილები და გვირგვინები. ბურგომისტრმა მიიღო დეპუტაცია; საღამოზე დეპუტაციამ მიიღო მრავალნი მცხოვრებთა ყველა წოდებისა, ამათში ბურგომისტრი, სამოქალაქო მოხელენი და რამდენიმე საზოგადოებათა წარმომადგენელნი. დეპუტაციის წევრთ არ წარმოსთქვეს არავითარი სიტყვები. ხვხლ საღამოზე მოხდება კრება, რომელზედაც დეპუტაციას გამოუცხადებენ თანაგრძნობას; კრებას დაესწრებიან თვით დეპუტაციის წევრნიც.

**ვენა.** თავადი ფერდინანდი მოვიდა აქ სამი უფროსი შვილით და მაშინვე გაემგზავრა სოფიისაკენ.

**პრეტორია.** იოჰანესბურგში მომხდარ აფეთქებისა გამო მმართველობამ გამოაცხადა დღეს, რომ უცხადებენ აქ დარჩენილ ბრიტანიის ქვეშევრდომთ, ზოგიერთთა გარდა, 48 საათის განმავლობაში გავიდნენ ქალაქიდან. ამასთანავე არსდება ცალკე პოლიცია უნგრეთელ და იტალიელ მუშათა უკეთესად დასაცველად, რომელნიც მმართებლობის ქარხნებში მუშაობენ.

**პორტ-საიდი.** ევროპიელთ უბანში 2 გახდა ავად ჭირისაგან და გარდაიცვალნენ. დღეს იუწყებიან მესამე შემთხვევას.

**პორტსმუტი,** იაპონიის საომრად გემი „ასახი“, რომელიც საუტსთან გარიყა, რიყიდან ზღვაშივე შეაცურეს და დააყენეს სპიტგედთან.

**კიმბერლეი.** ბურების რაზმმა, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა, დაიჭირა ვინდსორტონი.

**ლედი-სმიტი.** „ბურები აღარა გზავნიან ყარაულებს ჩვენი ჯარებისკენ. გენერალი ბოტი დაბრუნდა პრეტორიიდან და ხელახლად ჩაიბარა უფროსი სარდლობა ბურების ჯარისა“.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუგი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ისი ფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

---

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. კ., |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | —85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | —— |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რეხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი 8ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა, წაა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზიდ მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

**მატარებელი № 5** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

**მატარებელი № 6** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

**სამტრედიიდან** ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამეს 94—ე ომ9 წ. საღ.

**ფოთიდან** მსამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

**ფოთიდან** რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე ღამის—2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 22 აპრილს 1900 წელს დანიშნულია ვაჭრობა დამტვრეულ ქვისა და ქვიშის მოსატანად ქალაქის გზატკეცილების შესაკეთებლად: 1, 2, და 3 პოლიციის ნაწილებში საჭიროა 100 კუბიკური საჟენი ქვა და 20 კუბიკური საჟენი ქვიშა; 4, 5 და 6 ნაწილები—50 კუბ. საჟენი ქვა და 10 კუბიკური საჟენი ქვიშა; 7 და 8 პოლიციის ნაწილში—250 კუბ. საჟენი ქვა და 50 კუბ. საჟენი ქვიშა და მე 9 და 10 ნაწილში—200 კუბ. საჟ; ქვა და 40 კუბ. საჟ. ქვიშა, ამასთანავე ეს საქმე შეიძლება გადაეცეს მსურველს ერთად ანუ ნაწილ ნაწილ. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მიიღოს მონაწილეობა, შეუძლია პირობები გასინჯოს გამგეობის მესამე შენობათა განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეები გარდა, 9 საათიდან სამ საათამდე. (ნ. 3—2)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკის I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრბყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. ზ. ჭიჭინაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Апрѣля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.